# ივერია

**გაზეთი ღირს**

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბაზრის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი — სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1887 წელიწადი


**გაზეთი „ივერია“ პირველის ივნისიდამ წლის დამლევამდე ღირს 6 მ. 50 კ.**

ტფილისი, 3 ივნისი

მას აქედ, რაც იტალია გაერთდა და თავისი დედა-ქალაქი რომი თავის სატახტო ქალაქად გაიხადა, რომის პაპს ძალა-უნებურად ჩამოერთვა საერო მფლობელობა და უფლება იტალიაში. ამით დიდი ძალი და გავლენა მოაკლდა ყოვლად ძლიერს პაპობას, რომელიც ერთს დროს ჰბატონობდა და ბძანებლობდა თითქმის მთელს ქვეყნიერობაზედ და რომლის წარბების მოძრაობასაც შიშით და ზარით უყურებდნენ თვით გვირგვინოსანი მეფენი და ხელმწიფენი ევროპიისანი და არა ერთხელ პაპს მუხლ-მოდრეკით ევედრებოდნენ დალოცვასა და კურთხევასა. ამისთანა ძალა-მოსილობაში მყოფს პაპობას, რა თქმა უნდა, მეტის-მეტად უნდა სწყენოდა თვისი დაქვეითება, თვისის უფლების მოკლება, რომელიც იმოდენად შეჰვიწროვდა, რომ მარტო საეკლესიო საქმეებში-ღა შეიხუთა და მოძრაობდა.

მაშინდელი პაპი პიოს IX ბევრსა ჰცდილობდა დაკარგული დიდება კვლავ დაებრუნებინა პაპობისათვის, მაგრამ დრომ თავისი გაიტანა და ყოველი მეცადინეობა მისი უქმად დარჩა: საერო საქმეთა მსვლელობაში პაპს ყოველივე ხმა გაუწყდა და ქვეყანა თავის სვე-ბედს აჰყვა ისე, რომ პაპს თითქმის აღარას ეკითხებოდა. ყველგან, საფრანგეთსა, გერმანიასა და სხვაგანაც, საცა-კი კათოლიკენი იყვნენ, დევნა დაუწყეს იმისთანა მოძღვრებას კათოლიკეთა სამღვდელოებისას, რომელიც კვლავ ეტანებოდა საერო უფლების აღდგენას პაპისას. ბოლოს რომ ვერას გაჰხდნენ და ყველგან მარცხი მოუვიდა პაპობას, პიოს IX-ს დროს კათოლიკეთა სამღვდელოების კრება მოხდა და დაადგინეს დოღმატი რომის პაპის შეუცდომელობისა და ამით უნდოდათ ძირით თხემამდე პაპობის შერყეულის დიდებისათვის ერთი ძლიერის ვეტი შეედგათ შესამაგრებლად. დაადგინეს ეგ დოღმატი, მაგრამ ამით ბევრი არა ეშველა-რა ყველასაგან განწირულს პაპობასა.

ყოველ ამის მიუხედავად პაპობას კიდევ შეეძლო ძველის დიდებისაგან კიდევ ცოტაოდენი რამ შეერჩინა, თუ რომ მაშინდელი პაპი პიოს IX არ გაჯიუტებულიყო და იტალიის საერო უფლების მიერ ყოველს წარდგენილ წინადადებასა და პირობაზედ ყოველთვის ერთი და იგივე არ ებძანა: „არ შემიძლიანო“. ამის მთქმელს პაპს სხვა აღარა დარჩენოდა-რა, რომ თავისი თავი ტყვედ გამოეცხადებინა რომში და ვატიკანი, თვისი სამყოფი, საპატიმროდ არ ეცნა. ესეცა ჰქმნა და ეგონა ამით გულს აუმღვრევდა მთელს კათოლიკობას ქვეყნიერობაზედ და პაპის ტყვეობისაგან გულმოწყლულთა რაიმე მოქმედებაზედ გამოიწვევდა, ვითომ-და დატყვევებულის პაპის გამოსახსნელად.

რა თქმა უნდა, რომ ამ ამბავმა ცოტაოდნად ააყაყანა ერთგულნი კათოლიკენი, მაგრამ ეს ყაყანი ყაყანად დარჩა და პაპობას მით არა ეშველა-რა. ამ ჯიუტობაში აღესრულდა პაპი პიოს IX და მის მაგიერ პაპის ტახტზედ დაჯდა დღევანდელი პაპი ლეონ XIII. ეს ჭკვიანი პაპი, შორ-მხედველი და გამჭვრეტელი მიუჩუმდა და მიუყუჩდა საქმეთა მსვლელობას და თითქო თავის პაპობის დევიზად გაჰხადა ყველასაგან ცნობილი მოძღვრება: „მოთმინებითა თქვენითა მოიპოვეთ სული თქვენიო“.

ამ პაპმა ძალიან კარგად იცოდა, რომ ევროპიის საქმეები მეტად აჭიჭყნილია, აწეწილია და დღეს იქნება თუ ხვალ გაჭირება რომელსამე სახელმწიფოს მოახვედებს პაპობაზედ და მისგან შემწეობას მოითხოვს თავის საქმეების წარსამართებლად და დასალაგებლად. ამიტომაც ლოდინი დროთა ცვლილებისა შეიქმნა თითქმის ერთად-ერთ საგნად ლეონ XIII პოლიტიკისა. პაპი ლეონ XIII ელოდდა კარგა ხანს ამ ბედნიერს შემთხვევას და ყოველს მეცადინეობას იმაზედ ჰლევდა, რომ თუ შემთხვევა მიეცა, გამოიყენოს იგი პაპობის დაცემულის აბრუს აღსადგენლად.

პირველი ამისთანა შემთხვევა მაშინ მიეცა პაპს, როცა ისპანიასა და გერმანიას გამწვავებული ლაპარაკი მოუვიდათ კაროლინის კუნძულის გამო და კინაღამ ომამდინაც არ მიაღწია. გერმანიამ, ანუ უკეთ ვსთქვათ, თ. ბისმარკმა მიჰმართა პაპს და შუა-კაცობა სთხოვა, მოგვარიგეო. ძლიერი გერმანია, ყოვლად ძლიერი თ. ბისმარკი პაპს შემწეობასა, შუა-კაცობასა სთხოვს—ეს პაპის აბრუსა და თავ-მოწონებისათვის მეტის-მეტი საამური საქმე იყო მით უფრო, რომ ისპანიაც ამის შუა-კაცობაზედ თანახმა გახდა. პაპმა სიხარულით იკისრა შუა-კაცობა და ასე იყო თუ ისე, მოარიგა ორი, ერთმანეთზედ აშლილი სახელმწიფო.

გავიდა დრო და შარშან თ. ბისმარკი დაეტაკა გერმანიის პარლამენტსა შვიდ-წლეულის სამხედრო კანონის გამო. საქმე იქამდე მივიდა, რომ თ. ბისმარკი იძულებულ გახდა დაეთხოვა ძველი პარლამენტი, რომელიც ამ კანონს მეტის-მეტად ეურჩებოდა კათოლიკეთა დასის მოთავეთა წინამძღოლობით. დაითხოვა პარლამენტი და ახალი არჩევანები დანიშნა, მაგრამ შიში ჰქონდა, ვაი თუ გერმანიის ერმა ჩემის კანონის წინააღმდეგი კაცები ამოირჩიოს, რადგანაც კათოლიკეთა დასის მოთავენი ამას ეცდებიანო. ამის გამო ხელ-მეორედ მიჰმართა ბისმარკმა პაპსა და სთხოვა: იმოქმედე კათოლიკებზედ, რომ ეს საქმე არ დამმართონო და მეც გერმანიაში შენს უფლებას გზას გავუხსნი და ამას გარდა ვეცდები იტალიის მეფესთანაც მოგარიგოო. პაპმა, რასაკვირველია, დიდის სიამოვნებით შეიწყნარა თხოვნა თ. ბისმარკისა და ყველამ იცის რა რაგად ჩაერია პაპი ამ არჩევანების საქმეში და რა რიგად ძლიერ შეეწია ბისმარკსა. თ. ბისმარკმაც თავის დაპირებისამებრ მისცა კათოლიკეთა სამღვდელოებას გერმანიაში გაძლიერებისათვის ზოგიერთი შეღავათი, რომელიც პაპმა ჯერ ხანად საკმარისად იცნო. გარდა ამისა თ. ბისმარკმა გაუბა ლაპარაკი იტალიის მეფესაცა, რომ პაპთან როგორმე მოარიგოს. მორიგებისათვის დღეს გზა გახსნილია და თვით იტალიის მინისტრებიც ამის იმედს იძლევიან. ამას წინად პარლამენტში ჰკითხეს მინისტრებს: მართალია თუ არა, რომ პაპს ურიგდებითო? მინისტრებს უპასუხნიათ: ქვეყანაზედ მოურიგებელი არა არის-რაო, დრო და ჟამი უკეთესი შუა კაცია მოურიგებელის მოსარიგებლადაო. ამ პასუხისაგან სჩანს, რომ საქმე დამში მოდის.

აბრუმ პაპობისამ ამ გზით თანდა-თან თავი იჩინა და წინ წამოიწია. დღეს ინგლისიც, რომელიც აქამომდე თითქმის არაფრად აგდებდა პაპობასა, იძულებულ გახდა პაპს თხოვნით მიჰმართოს. ირლანდია, როგორც მოგეხსენებათ, არ უწყნარდება ინგლისსა და რადგანაც ირლანდიელნი კათოლიკეთა სარწმუნოებისანი არიან და იქაური სამღვდელოება ძალიან ზედმოქმედებს იქაურს ერზედ ინგლისის წინააღმდეგად, ამიტომაც ინგლისის მთავრობა, გაზეთების სიტყვით, დღეს მისდგომია პაპს და

## ფელეტონი

### კრეკ

(ამბავი კანადის ცხოვრებიდამ, ვერბერისა)

(შემდეგი*)

მეორე დღეს დილით ჩემის ოთახის ფანჯარა რომ გავაღე, საამო დილის ნიავმა ალტაცებაში მომიყვანა. ქალაქ ადგილის მოგონება მეზარებოდა, ისე შემძაგდა ქარხნებიდამ ამომავალი კვამლი, რომელიც სულს უხუთავს მცხოვრებლებსა! „აღარ მინდიხარ ცინცინატის**) ქალაქო შენის წამხდარის მჭვარტლიანის ჰაერით!“ ეზოში ჩაველი, სადაც ელეონორა სარეცხსა ჰფენდა მწვანეზე და მეც მიეეხმარე. შევნატროდი ელეონორას, რომ ამისთანა სუფთა ჰაერსა ჰყლაპავს და მოშორებულია ქალაქის ცხოვრებასა. მეტად დაბალ არსებად მეჩვენებოდა ქალაქის მცხოვრები ახლა. „ორმოცდა-ხუთის წლისა ვარ და მხოლოდ ახლა ვიგრძენ, რომ უძლური რამა ვარ! ისე წამხდრები ვართ, რომ ძალიან მცირე რამ დაგვაკმაყოფილებს ხოლმე, რადგან დიდს თუ წავსწვდით რასმე, ვერ მივაღწევთ და მცირე-კი ადვილი მისაღწევია. ჯიუტები არა ვართ, დათმობა ვიცით; იმდენსა ვთმობთ ცხოვრებაში, რომ ბოლოს რაღაც რამ უჩინარი გამოვდივართ და ვეჩვევით ჩვენს მდგომარეობას.“

— მე რომ მაგისთანა ვყოფილვიყავი, მითხრა ელეონორამ, სირცხვილით დავიწოდი.

— თქვენ რასაცა ჰგრძნობთ და რაც გსურთ, გულითა ჰგრძნობთ და გულითა გსურთ, ვუპასუხე.

— დღეს მგონია თქვენ არაფერი მიგირთმევიათ ჯერა. მიბრძანდით დიდს ოთახში, მამაჩემი იქ არის და ერთად მიირთვით ჩაი, მითხრა ელეონორამ.

— თქვენა, ელეონორა?

ამ დროს ვილსონმა დაგვიძახა სახლიდამ.

— შემოდით რაღა, პატარას დანაყრდით, საკმაოდ იმუშავეთ და გეყოფათ. სამივენი დიდს ტაბლაკს შემოვუსხედით გარშემო. ვილსონმა გვიამბო რამდენიმე ამბავი, რაც ნადირობის დროს შემთხვევოდა. წყნარმა ელეონორამ ჩაი რომ გაათავა, ჩაღუნა თავისი სასიამოვნო პირი-სახე და საკერავს მიჰყო ხელი. ფანჯარას უცებ რაღაც ჩრდილმა გაუარა. რამდენსამე წამს უკან შემოვიდა კრეკი. გუშინდელივით ჩაუცმელი აღარ იყო, ახლა ყვითელი რაღაც ლენტებით აჭრელებული შალვარი ეცვა; გულ-ამოჭრილი თეთრი პერანგი, წითელისა და ლურჯის მძივებით ნაკერი; სახლები ნახევრობამდე აეწია; თავზე ისევ ის წითელი ხელსახოცი ჰქონდა წაკრული; კისერზე წითელი ზონარი ჰქონდა და ზედ სასტვენი და დათვის კლანჭები ეკიდა.

— აი, ჩემი მოკლული ძერა მოგიტანეთ. მოიხსნა მხრიდამ გატენილი დიდი ფრინველი და ტაბლაკზედ დასდვა.

— კრეკ, დიდად მადლობელი ვარ, რომ ჩემი მეგობარი მომგვარე უთხრა ვილსონმა და მაგრად ჩამოართვა ხელი. აი ამ კაცმა დაგვიხსნა სიკვდილისაგან ამ თერამეტის წლის წინად მე და ჩემი ცოლი.

კრეკის მოღრუბლული სახე გამხიარულდა და მეც ჩამომართვა ხელი.

— დაჯექით, კრეკ, უთხრა ვილსონმა.

მე მეგონა ვილსონის სახლში ილაპარაკებდა რასმე-მეთქი, მაგრამ ჩუმად და მოკრძალებით იჯდა. მხოლოდ მაშინ ამოიღებდა ხმას, როცა ვკითხავდით რასმე.

ელეონორა თითქო ვერც-კი დაინახა; როცა ელეონორა ადგა და ჩაი უთავაზა, კრეკმა ზედ არ შეჰხედა და დამშვიდებით უთხრა.

— კრეკი არა სვამს ცეცხლის წყალსა.

ელეონორამ არაყით სავსე ჭიქა მოიტანა და როცა ტაბლაკზე სდგამდა, ხელი უთრთოდა ცოტადი და გადმოექცა არაყი. შემდეგ ისევს თავის საკერავს მიუჯდა.

— რკინის გზის სადგურისკენ როდის მიდიხარ, კრეკ? ჰკითხა ვილსონმა.

— დღეს.

— ერთი წიგნი მაქვს გასაგზავნი, წაიღეთ. ვილსონმა მოუტანა წიგნი და მისცა.

კრეკმა წიგნი უბეში ჩაიდვა.

— კრეკ, სანადიროდ წახვალ ამ კვირია?

— ფურ-ირემზედ უნდა ვინადირო, იმისი ტყავი მჭირდება.

მე ვკითხე, გამოქვაბულში რომ გუშინ მოკლული დათვი შევათრიე, იქვეა თუ არა-მეთქი?

— არა, კრეკმა შინ წაილო.

მე გამიკვირდა, რა ნაირად უნდა მიეთრია თავის ბინაზე კრეკს დათვი და ვკითხე, შორს არის თუ არა თქვენი ბინა იმ გამოქვაბულიდამა-მეთქი.

— ერთის საათის სავალია

— მერე მარტო თქვენ მიათრიეთ ის დათვი?

— კრეკი ხშირად სჩადის ამასა.

ვილსონმა გაიცინა.

— კრეკი როცა შორს მიემგზავრება სადმე სანადიროდ, ტომრით მიაქვს შემწვარი ხორბალი, ზურგზე თასმებით მოიბამს პატარა ნავს, ნიჩბებს წაიღებს და ისე მიდის; წყალში გასვლა რომ დასჭირდება, ამ ნავში ჩაჯდება და გაღმა გავა; შევა უდაბურს ტყეში, რამდენსამე დღეს რჩება იქ და სულ ზურგით ათრევს ხოლმე ნავსა.

— ეგ შეუძლებელია, წამოვიძახე მე. კრეკისათვის-კი სულ ერთი იყო, რა აზრისაც უნდა ვყოფილიყავი იმაზე; ხმა არ ამოიღო. მაგრამ როცა იმის ნათელს და სიმართლით სავსე თვალებს შევხედე, შემრცხვა, რომ ეჭვი შევიტანე იმის ყოჩაღობაზედ.

— დღეს რატომ გული და ხელები არ შეგიღებავს? ჰკითხა ვილსონმა.

— საღებავი გამოელია კრეკს, სთქვა ნელა.

ჩემს ოთახში შევედი საღებავის გა-

---

*) იხ. ივერია № 109.

**) ცინცინატი ჩრდილოეთ-ამერიკის ქალაქია.

სთხოვს, შემეწიე და იქაური სამღვდელოება, რომელიც თქვენ ხელთ არის, დააწუნარეო.

არ ვიცით ჯერ, რას იზამს ამ თხოვნის გამო პაპი და ეს კი ვიცით, რომ ეს უტყუარი ნიშანია რომ მნიშვნელობა პაპისა ქვეყნის თვალში იზრდება და ჰმატულობს. საქმეთა მსვლელობამ ავსტრიასაც გაუხადა სახვეწარი და იგიც სავედრებლად მიმართულია პაპისაკენ. საქმე ის არის, რომ სლავიანები-კათოლიკენი ამ უკანასკნელ დროს სთხოვდნენ პაპს ნება მოგვეცით სლავიანურს ენაზედ წირვა-ლოცვა ვიქონიოთო, რადგანაც დღეს აქამომდე წირვა-ლოცვა ლათინურს ენაზედ ჰქონდათ. პირველ ხანში პაპმა თავი ისე აჩვენა, ვითომ თქვენი თხოვნა ადვილად შესაწყნარებელიაო. ავსტრია მიუხვდა ამას და შეჰშინდა: ეს რომ ასე მოხდეს, სლავიანური ელემენტი გაძლიერდება ჩემს სამფლობელოშიო და დღეს ემუდარება პაპს, ნუ მისცემ მაგის ნებასაო. რა თქმა უნდა, პაპი ამ ამბავს კარგად გამოიყენებს და ავსტრიას თავის გაძლიერებისათვის გამოსთხოვს რასმე და აქაც მისი გავლენა და სახელი ფართო გზას გაიხსნის.

ამ სახით გამოდის, რომ ლეონ XIII-ის ლოდინობის პოლიტიკას იმედები არ უმტყუნდება და დღე და დღე პაპობა ევროპაში ძლიერდება და აბრუსა და სახელს იგეთებს. თუ ამ გზაზედ იარა და საქმეთა ცვლილებამ არ შეაყენა ეს სიარული, მაშინ ევროპის პოლიტიკაში რომის სამღვდელოებაც თავის ადგილს დაიჭერს და თავის ფერს და მიმართულებას დააჩნევს. ძნელად საფიქრებელია, რომ პაპობამ უწინდელი დიდება და რიხი დაიბრუნოს, მაგრამ ევროპიის კონცერტში-კი რომ ამასაც ერთი ხმა ექმნება, — ეგ კი უეჭველია. რის ნიშანია ესა: წინ-მსვლელობისა, თუ უკან დახევისა, — ეგ თვითონ მკითხველმა გამოიცნოს.

## ახალი ამბავი

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობამ მიიღო შტერნის შედგენილი პლანი არწრუნისეულის თეატრის შეკეთებისა და ამ ახლო ხანში დაამტკიცებსო. ახლანდელი 11 ლოჟის მაგიერ გამართული იქნება 28 ლოჟა და მათ შორის 4 დახურული იქნება. გარდა ამისა, თეატრს ექნება მოსართავი ოთახები ქალებისათვის და კაცებისათვის კიდევ ცალკე—თამბაქოს მოსაწევი ოთახი.

*** უკანასკნელს ქარიშხალსა და სეტყვას დიდი ზარალი მიუცია ორთაჭალის ბაღებისათვის: რაც-კი მწვანილეულობა, კიტრეულობა და ლობიო ყოფილა, სულ გაუნადგურებია. ყვავილიც არ შეურჩენია კიტრისათვის. ხეხილიც ბევრი დაუმტვრევია და გაუფუჭებია.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ზოგიერთ საფრანგეთის ღვინის მკეთებლებს უყიდნიათ ბევრი ჩვენებური ქვევრები, ასე თითქმის 1,000 ცალი და წაუღიათ საფრანგეთში. იქაურ ღვინის მკეთებელ მემამულეთ უნდათ გამოსცადონ, როგორ ინახავს ჩვენი ქვევრი ღვინოს და საზოგადოდ, ივარგებს თუ არა ევროპიულის ღვინის კეთებისათვის ეს ჭურჭელიო.

*** რედაქციას მოუვიდა პატარა „უბის ლექსიკონი“ ბ-ნ ალნიაშვილისა. ეს პატარა ლექსიკონი სულ 47 გვერდს შეიცავს და დაბეჭდილია წითელ, ყვითელ, მწვანე და თეთრს ფოსტის ქაღალდზე; დაბეჭდილი ძრიელ სუფთად არის. ფასი ორი აბაზია. სამწუხაროდ ბევრი სიტყვები სწორედ არ არის ნათარგმნი. სხვათა შორის колбаса—კუპატიაო, თუმცა კუპატი რუსულად пирожки-ა და колбаса-კი ქართულად ძეხვია; антрактъ—ხამუში (სომხური სიტყვაა); балконъ—დერეფანი; დერეფანი-კი არ არის, მოაჯირია, აივანი.

*** ალდაშიდამ გვატყობინებენ, რომ უკანასკნელმა სეტყვამ ძრიელ წაახდინა აქაური ჯეჯილიო და ამის გამო შეიძლება ამ წელს პური დაგვიძვირდესო. ალდაში თითქმის მთელი ამიერ-კავკასიის პურის ბოლაზია.

*** კახეთიდამა გვწერენ: ჯერ ამ სამის კვირის წინად გაუჩნდათ ყანებს მტარვალი კალია და თითქმის გაანადგურა მოსავალი და თუ კი რამე გადარჩა, მაისის 27-ის დიდმა სეტყვამ სულ მთლად გაანადგურა ყოველივე მცენარე სოფ. გურჯაანიდგან დაწყობილი ვიდრე ბაკურციხემდეო. ყველაზე ძრიელ კოლაგი და ბაკურციხე დაისეტყვაო.

*** ივნისის 2-ს, დილის ათს საათზე, ახალგაზდა 27 წლის ინჟინერმა ობრუცკიმ თავი მოიკლა ნავთლუღში, თავის სადგომში. თავის მკვლელს უსროლია რევოლვერა მარჯვენა საფეთქელში და ტყვია მარცხენა საფეთქლიდამ გამოვარდნილა. განსვენებულს წერილი დაუტოვებია, რომ ჩემს სიკვდილს ნურავის დააბრალებთო.

*** „ნოვ. ობოზრ.“ გვაუწყებს, რომ სტიპენდიების დასაარსებლად საქალაქო მიხეილის სკოლას ამ ჟამად აქვს 10.700 მან. ამ ფულს წელიწადში 501 მან. და 40 კაპ. შემოაქვსო. ამის გარდა ახლა შეუწირავთ: კნეინა თუმანოვისას 1.000 მ. და ქალ. ფულინოვისას 1.000 მ.

*** „კავკაზი“ გვაუწყებს, რომ ზოგიერთნი სცდილობენ ნება მიიღონ მთავრობისაგან საკვირაო სკოლის დაარსებისა ტფილისის სახელოსნო სკოლაში. ამ სკოლაში კვირასა და უქმე დღეებში ლექციები იქნება წაკითხული საწყალის ხალხისათვის და მეტადრე ხელოსნებისათვის იმათის გონებისა და ზნეობის გასაწრთვნელადა და განსავითარებლადაო.

*** „Новое Время“ გვაუწყებს, რომ უმთავრესს ქალაქებში საქართველოს საეგზარხოსოისა დაარსებული იქმნება საწყობი საეკკლესიო ნივთებისაო. ამ ჟამად საქართველოში საეკკლესიო სამკაულებს, წიგნებსა და ხატებს ჰყიდიან ებრაელები, თათრები, სომხები და კათოლიკენიო.

*** იგივე გაზეთი ამბობს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს თაოსნობით ჩვენს კავკასიაში დაიწყება სასტატისტიკო ცნობების შეკრება უსინათლოთა რაოდენობისაო.

*** ორს ივნისს, ღამის ორს საათზედ, თავის გაუფრთხილებლობით ჩამოვარდა მე-2 სართულის მოაჯირიდგან ახალქალაქელი ასლან მამასახლისოვი და ძრიელ დაემტვრა ნეკნები და გულის-ფიცარი. დაშავებულისათვის სამკურნალო შემწეობა აღმოუჩენიათ.

*** მე-9 პოლიციის გამგეობის მოხელეთ გადაუურევინებიათ სამი „პოვოსკა“ გაფუჭებული ალუჩა.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

დ. ნებოძირი, 30 მაისს. საზოგადოდ ზემო-იმერეთში და განსაკუთრებით ჩვენს სოფელს ნებოძირსა და ბეჟათუბნის საზოგადოების სოფლებში წრეულს ხვნა-თესვას ვერაფერი ალო და ამინდი დაუდგა. აპრილის თთვემ სულ წვიმებით და ცივის დღეებით გაიარა. მუდამ დღე თითქმის ტალახი იყო და სიმინდის თესვა არ შეიძლებოდა. მაისის თთვე-კი აპრილივით არ მოგვექცა. ამ თთვის პირველს რიცხვებში სანაქებო და შერჩეული ამინდები იყო ხვნა-თესვისათვის. მაგრამ ჩვენმა სოფლის გლეხებმა სიმინდის დათესვა მაინც ვერ მოასწრეს იმიტომ, რომ ბევრი უქმე დღეები იყო მაისის პირველს რიცხვებში, თუმცა ზოგიერთა დღეებს აქაურები ტყუილად უქმობენ და სცდებიან. აი, მაგალითად, აქ ჩვენს სოფლებში რა მაზარალებელი ჩვეულება სუფევს: პარასკევს დღეს, რაც უნდა კარგი და სანაქებო ამინდი იყოს ხვნისათვის, გლეხები მიწას არ ანძრევენ. მიზეზი ამ ჩვეულებისა დაბადებულა შემდეგის გარემოებისაგან: ერთს პარასკებს დღეს დიდი საშინელი სეტყვა და წვიმა ყოფილა; სუყველაფერი: ვენახი, ხილეულობა, სიმინდი და პური დაუმტვრევია, ჩაუჩეჩქნია და წაუღია. ამ ნაირის ბუნების მოვლენისა ხალხს ძრიელ შეშინებია და შემდეგი აღთქმა მიუცია ღვთისათვის: „ღმერთო, ოღონდ ამ ნაირს წამახდენელს სეტყვასა და წვიმას ნუ-ღარ მოიყვან და ამ დღეს შენ შემოგწირავთ და მიწას ხელს არ ვახლებთო“. ეს მაზარალებელი აღთქმა მტკიცე ჩვეულებად გამხდარა და ხალხი ვერას გზით ვერ გადაჩვეულა. ამ მაზარალებელს ჩვეულებაზედ თუმცა გაბრიელ ეპისკოპოზმაც ბევრი იქადაგა ჩვენ სოფლის ეკკლესიაში ხალხის წინაშე, მაგრამ ხალხი კიდევ მაინც ჩვეულებას ვერ მოჰშორებია.

თხუთმეტ მაისიდგან დღემდინ ერთი ცვარი წვიმა არ გადმოვარდნილა. დღეს-კი ისეთი დიდი წვიმა მოვიდა, რომ პატარა ღელეებმა სოფლელების წისქვილები დაანგრიეს და მოიტაცეს. ჩვენმა სოფლელებმა სიმინდის თესვა ისევ განაგრძეს და თუმცა გვიანღაა, მაგრამ კიდევ იმედია, რომ თავის დროზედ მოვიდეს, რადგანაც აქეთ საშინელი ფიცხი მიწაა და მუდამ თბილი ჰაერია ზაფხულსა და შემოდგომაზედ.

ამ სამის დღის წინად, 28 მაისს, კიდევ საშინელი წვიმა იყო ფონასა და წიფაში. ნახევარის საათის განმავლობაში ფონის სიახლოვეს პატარა ტყის

---

მოსატანად; როცა კოლოფი აეხადე და ათას ნაირ ფერის საღებავები დაინახა კრეკმა, სახე ბაშვივით გაელიმა. იმისი დაბურული თვალები უცებ სიხარულით აინთო. ნაზად დაუწყო სინჯვა საღებავებს და როცა ვკითხე, მოგწონს თუ არა-მეთქი, მიპასუხა:

— მშვენიერი საღებავებია.

— რომელიც მოგწონდეთ, მიირთვით, ვუთხარი მე.

სიამოვნებით შემომხედა და მითხრა:

— კრეკი დიდად მადლობელია.

მე მინდოდა მენახა, როგორა ხატავს კრეკი და ელეონორას ესთხოვე ერთის სტაქანის წყლის მოტანა.

ელეონორამ წყალი მოიტანა; ჩემსა და კრეკს შუა დადგა და თავისი აკანკალებული ხელი იმ სკამის ზურგს დააბჯინა, სადაც კრეკი იჯდა. ელეონორას ხელს არ ეხებოდა კრეკი, თავდახრილი იჯდა. მე ვუჩვენე რა ნაირად უნდა დაესველებინა საღებავი წყალში და მერე როგორ უნდა დაეწყო ხატვა ფოჩით. კრეკი მაშინვე მიხვდა, მარცხენა მხარზე ჯერ მზე დაიხატა *) და მერე ახალი მთვარე ხელზე. ზედ სხვა-და-სხვა ფერის რალაცა სახეები გამოიყვანა და ერთად რომ გენახათ, სწორედ მოგეწონებოდათ, ისე ლამაზად გამოჰყავდა ეს სახეები. მარცხენა ხელით მარჯვენაზე რალაცა ლამაზი ყვავილი გამოისახა; გულზე ცისარტყელა გამოიყვანა სხვა-და-სხვა ფერის საღებავითა. როცა ვუთხარი, რომ ლოყები დაგერჩა დაუხატავი-მეთქი, მიპასუხა:

— კრეკი პირი სახეს არას დროს არ ილებავს.

მე ხან-და-ხან ჩუმად შევაპარებდი ხოლმე თვალს ელეონორას და შევნიშნე, რომ ელეონორა უცნაურად ჰკშენავდა და უცებ აუწითლდებოდა ხოლმე ლოყები; თვალები უპრიალებდა.

— ელეონორა, რომელი მხატვრობა უფრო მოგწონთ კრეკის დახატულებში? ათრთოლებულის თითით მანიშნა კრეკის მარჯვენა ხელი. რადგან ელეონორას მოკლე სახელოებიანი კაბა ეცვა, კრეკს ვუთხარი:

— აბა ახლა ელეონორას ხელზე დახატე რამე. კრეკი შეკრთა და მითხრა:

— კრეკს არ შეუძლიან.

— ხელს არ გავანძრევ და დახატეთ, უთხრა ელეონორამ ისეთის ტკბილის და ნელის ხმით, რომელიც თვით უძლიერესს ადამიანსაც-კი აათრთოლებდა. კრეკმა ძირს დაიხედა და მოკრძალებითა სთქვა:

— კრეკი ყმაწვილ-ქალებს არა ჰღებავს.

ელეონორა ისევ თავის საკერავს შეუდგა; კრეკი რამდენსამე წუთს უკან ადგა და სთქვა:

— კრეკი მიდის, დროა.

მე ჩემი საღებავები ვუთავაზე.

— კრეკი დიდად გმადლობთ.

ვილსონი ოთახიდამ რომ გადიოდა, ისევ შემოვიდა და ჰკითხა ინდოელს:

— რა მოგცე ძერაში?

— კრეკს არა უნდა-რა; ვილსონი კარგი მეგობარია იმისი, უპასუხა კრეკმა და გასწია კარებისაკენ.

— მოიცა! მიაძახა ვილსონმა. ერთმა მონადირემ მითხრა, რომ ზაუგები გემუქრებიან თურმე. წარსულს ბრძოლაში იმათ ბანაკში რომ შევარდი და აუოხრე, ფიცი დაუდვიათ თურმე, ვერ მოვისვენებთ, მანამ კრეკს ქოჩორს არ ავაცლითო.

კრეკმა თავი დაიქნია და უთხრა:

— მართალია, ზაუგები ბევრნი არიან, მაგრამ სანამ ისინი კრეკს ქოჩორს აალიდნენ, კრეკი ბევრს იმათთანას აალის ქოჩორსა!

მე ღელემდინ გავაცილე, საიდამაც ნაძვის ტყე იწყებოდა.

— კრეკ, როდისა გნახავთ კიდევ?

— როცა მთვარე გაივსება, კრეკი მაშინ მოვა აქ.

ღელეს გადაახტა მარდად და ისე სწრაფად, თითქო მახედგან გამოფრენილი ჩიტიაო.

სამი კვირა გავიდა. მე და ვილსონი ხშირად დავდიოდით კრეკებთან. ვილსონის მეგობარი კრეკი ჯერ არ დაბრუნებულიყო ნადირობიდამ. იმდენს ამბებს გვიამბობდნენ კრეკები ჩვენს კრეკზე, თითქო კრეკი არსად არც-კი წასულაო.

სანადიროდ მარტო უყვარს თურმე კრეკს წასვლა. თუ საშიშარს მხეცს მოჰკლავს რასმე, ჰკითხვენ ხოლმე: „ეს რა ნაირად მოგიხერხებია ამისი მოკვლაო?“ კრეკი უპასუხებს თურმე „ძალიან ადვილად მოვახერხეო“.

საშიშარი შემთხვევები უყვარს ნადირობისა და ბრძოლის დროს კრეკსა.

— ბრძოლის დროს კრეკი გველიც არის და ელვაცაო, მითხრა კრეკების წინამძღოლელმა: ისე მოხერხებულად იბრძვის, რომ ვერაფერი იარაღი ვერ მიეკარება. ერთხელ რაც ტყვია ჰქონდა, სულ გამოელია. ჩამოხტა ცხენიდამ, მტერმა რაც ტყვია და შუბები გვესროლა, აკრიფა და ამ აკრეფილის ტყვიითა და შუბებით ებრძოდა მტერს. ისეთი საშინელი იყო, რომ მეტი არ შეიძლება. როცა ომი და ბრძოლა არ არის, მშვიდობიანია და გულ-ლბილი, არავის არ ეჩხუბება. სირბილში ვინც უნდა იყოს, არავის ჩამოურჩება; ყველა ჩვენი ინდოელები სწრაფად და ჩქარა დარბიან, მაგრამ კრეკისთანად სირბილს-კი ვერავინ ახერხებს: ისე დარბის, თითქო მიფრინავსო. მე რომ ვკითხე, კრეკს რამდენი ცოლი ჰყავს-მეთქი, გაიღიმა მოთავემ და მითხრა:

— კრეკს არა ჰყავს ცოლი, ქალებზედ სულ არა ჰფიქრობს.

ნეტა იცოდა კრეკმა თუ არა, რომ პატარა ნაზი ელეონორა, თეთრ ფუნჩულა ხელებიანი და ოქროს ფერთმიანი, ძალიან ხშირად ჰფიქრობდა კრეკზე და სულ იმის ოცნებაში იყო!

ყოველ ღამეს შეჰყურებდა მთვარეს: ივსება თუ არაო და კრეკის მოსვლას მოუთმენელად ელოდა!

ძლივს მთვარეც გაივსო და კრეკიც მოვიდა.

ერთს დილას შემოვიდა ჩემთან ვილსონი და მითხრა:

— კრეკი ქვევით არის, რკინის გზის სადგურზე მიდის, თუ გინდათ ჩვენც წავყვეთ, გავაცილოთ.

როცა ძირს ჩამოვედი, კრეკი ქვაზედ იჯდა და ვილსონის ძაღლს ეალერსებოდა.

— კრეკ, დიდი ხანია არ გვინახვიხარ და ძალიან გვინდოდა თქვენი ნახვა.

— კრეკი გჭირდებოდათ რისთვისმე თუ?

— არა, კი არა გვჭირდებოდა, მაგრამ უთქვენობა მოგვწყინდა. ძალიან შეგეჩვიენით ვილსონი, ელეონორა და მეც.

— კრეკი დიდად გმადლობთ, სთქვა ჩუმად.

ამ დროს ვილსონიც და ელეონორაც შემოვიდნენ. ქალს ფერი არ ედვა; ხელი ჩამოართვა კრეკს და უთხრა:

*) ინდოელებს ჩვეულებადა აქვთ გულისა და ხელების შეხამება, ხან-და-ხან პირისახისაც, იმათი მორთულობა ეს არის. ზოგიერთა ინდოელის თემთ ის ჩვეულებაცა აქვთ რომ სხეულს დაიდაღვენ ხოლმე მორთულობის ნიშნად.

ღელემ რკინის გზას იმდენი ქვა და რიყე მიაყარა, რომ ხალხთა მატარებელი წამოსული დილის 8 საათზედ ბათუმიდგან ოთხი საათი მეტი შეაყენა წიფის რკინის გზის სადგურთანა. ღელედგან მოტანილს ქვასა და რიყეში ერთმა წიფაში მომუშავე იტალიელმა მარგანეცი—შავი-ქვა ნახა. სთქვა იმან ხალხში აგრეთვე, რომ ეს მარგანეცი იმ მარგანეცზედ კარგი გამოვა, რომელიც ზესტაფონს მოაქვთ და ჰზიდვენო. მე როგორც გავიგე, ეს ღელე ბ-ნ მ. ქ. ყიფიანის მამულში ყოფილა. გუშინ სურამშიაც სეტყვა და წვიმა იყო, მაგრამ ისე მცირედ, რომ არაფერი გაუფუჭებია.

სამსონ ლონლაძე

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

საიდამ უფრო მოელის შიში ევროპის მშვიდობიანობას, სად უფრო საფიქრებელია, რომ გამოტყვრეს რომელიმე თავ-სატეხი საქმე პოლიტიკოსებისა და დიპლომატებისათვისაო? კითხულობს ყველა და ნამდვილი პასუხი-კი ვერ მიუღია.

ყოველ-დღე ჰშლის გაზეთებს, მოუთმენლად ათვალიერებს დეპეშებს და საპოლიტიკო მეთაურს წერილებს, მაგრამ ამაოდ. უთუოდ ავღანისტანის საქმეები დაარღვევს მშვიდობიანობასაო, ფიქრობს მკითხველი დღეს; არა, სწორედ ისევ ბოლგარიის გამო ატყდება ვაი-ვაგლახიო, ამბობს მეორე დღეს და ასე ამ რიგად, ხან ავღანისტანი და ხან ბოლგარია, ხან ბოლგარია და ხან ავღანისტანი და ნამდვილად-კი საქმეები ისევ მშვიდობიანად მიდის.

აი რას ამბობს ავღანისტანის საქმის გამო ერთი ინგლისური გაზეთი:

> ბევრი ძრიელ ფრთხის იმ ხმების გამო, რომელიც მოდის ჩვენამდე ინდოეთიდამ. ჩვენ ჩვენის მხრით-კი გვგონია, რომ ინგლისს საიმისო საშიში საქმე არა მოელის-რა ინდოეთში. გილზაების აჯანყება ისეთი ამბავი არ არის, რომ ამ აჯანყებას ნამდვილი რამ საქმე მოჰყვეს. ავღანელებსა და გილზაებზედაც ის ითქმის, რაც სთქვეს კრიტელებზე:. ემირის უმთავრესი ვალია მოსპოს აჯანყება, დაამშვიდოს მეამბოხენი. სრულიად დამშვიდება ამ ქვეყნისა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ან რუსეთი და ან ინგლისი დაიჭერს ავღანისტანს.

ამ გაზეთის აზრით, ინგლისელები არ დაიჭერენ ავღანისტანს, რადგანაც ამის წინააღმდეგნი არიან ინდოეთის გამოჩენილი სახელმწიფო და სამხედრო კაცნი. ამათის პოლიტიკის გამო

> ავიცილეთ თავიდამ, განაგრძობს გაზეთი, ის ომი, რომელიც კინაღამ მოგვიხდა ჰენჯდეს გამო ამას წინად, როცა პარლამენტმა უკვე გადასდო მილიონები ამ ომისათვის. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენ არც ეხლა და არც შემდეგ არ გავერევით ავღანისტანის საქმეში. მაშასადამე, სრულიად გულ-დამშვიდებულნი უნდა ვიყვნეთ ამ ქვეყნის მდგომარეობის შესახებაო.

**

მკითხველს ეცოდინება, რომ კვირინალი და ვატიკანი ანუ საერო და სასულიერო მთავრობა ერთმანეთს უწყრებოდნენ და ებუტებოდნენ. მისი უწმინდესობა პაპი უკმაყოფილოდ იყო, რომ სასულიერო მთავრობას საერო უფლება წაერთვა და მთელი თემი, რომელსაც საპაპო ოლქი ერქვა, ხელიდამ გამოეცალა. დღეს ამ ჩხუბსა, ბუტიაობასა და წყრომას ბოლო მოელო: კვირინალი ურიგდება ვატიკანს. ამბობენ კონგრესიც-კი უნდა იქმნას მოწოდებული, რომ მოარიგონ ერთმანეთში ეს ორი მოწინააღმდეგე, მეფე ჰუმბერტო და პაპი ლეონ მე-XIII.

ჩვენის აზრით, კონგრესი სრულიად საჭირო არც-კია ამათ მოსარიგებლად. ლეონ მე-XIII ისეთის მხიარულის ხასიათისა ყოფილა, რომ იმასთან ძრიელ ადვილი იქმნება მეფე ჰუმბერტოს შერიგება.

აი რასა სწერენ ამ პაპის მახვილობაზე გაზეთები:

> მის უწმინდესობასთან მივიდნენ საფრანგეთიდამ მლოცავნი და ლოცვა კურთხევა ითხოვეს. პაპმა უთხრა მლოცავებს: თქვენი საფრანგეთი, სწორედ რომ გამოცანაა, შეუსაბამობაა, ორ-აზროვანობაა. თქვენ თვითონ განსაჯეთ: პრეზიდენტის სასახლეს სამთოხის სახელი ჰქვიან (ელისეის სასახლე) და სამოთხე-კი არა სწამს; სენატის სასახლეს ეწოდება ისეთის ქალაქის სახელი, რომელიც საფრანგეთში არ არსებობს (ლუქსემბურგი); რესპუბლიკის წარმომადგენელთა სასახლესათვის დაურქმევიათ სახელი ისეთის სამეფო გვარეულობისა, რომელიც არ უნდა რომ თავის ქვეყანაში დააყენოს (ბურბონი); ბოლოს წმინდა მამამ შესძახა თურმე: ერთის სიტყვით „ხაოსია“, „ხაოსი“!

## რუსეთი

— ივნისის პირველიდამ, როგორც გვაუწყებენ რუსეთის გაზეთები, თამბაქოს ბაჟი მოემატება; მოუმატებენ 30 პროცენტს.

— პეტერბურგის უნივერსიტეტში ახალის სასწავლო წელიწადიდგან დაარსებული იქნება ახალი კათედრა გეოგრაფიისა. პროფესორად მოწვეულია უწინდელი ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი ედუარდ პეტრი.

— კარგა ხანია, რაც საერო განათლების სამინისტრომ დაიწყო შემუშავება რეალურის სასწავლებლების ცვლილებათა პროექტისა. სამინისტროს შეუდგენია პროექტი, რომელიც ამ მაისის 11 განუხილავს სახელმწიფო საბჭოს. უმთავრესი აზრი ამ რეფორმისა სატეხნიკო და სამრეწველო სწავლა-განათლების გავრცელებაა. ეს უმთავრესი აზრი თვით სახელმწიფო საბჭოსაც დიდად მოსწონებია, მაგრამ ზოგიერთი წინადადება-კი შეუცვლია. უმეტესს ნაწილს (34 ხმას წინააღმდეგ 8) წარმოუთქვამს ის აზრი, რომ რეალური სასწავლებელი საშუალო სასწავლებლად უნდა დარჩეს და კურს დამთავრებულთ ამ სასწავლებლებში ნება არ უნდა წაერთოთ უმაღლესის სწავლის მიღებისა, თუმცა სამინისტროს მარტო კლასიკური გიმნაზიები უნდოდა დაერჩინა საშუალო სასწავლებლებად. ამ გვარ რეალურ სასწავლებლებში შვიდი კლასი იქნება. ამის გარდა დაარსდება სხვა „პრორეალური“ სასწავლებლები, რომლებშიაც ხუთ-ხუთი კლასი იქნება. საშუალო სატეხნიკო სასწავლებელში მხოლოდ ისინი იქნებიან მიღებულნი, ვინც დაამთავრებს კურსს „პრორეალურ“ სასწავლებელში. ახლანდელის რეალურ სასწავლებლებიდგან 21 გადაკეთდება „პრორეალურ“ სასწავლებლებად და დანარჩენი დარჩება სრულ რეალურ სასწავლებლად. ამ ცვლილებათა შემოღება დაიწყობა ამავე წელსაო.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** გაზ. «France» ამბობს: მინისტრთა რჩევის კრებაზედ ახალს სამხედრო მინისტრს საფრანგეთისას გენერალს ფერრონს უთქვამს, რომ კარგი იქმნებოდა ტონკინიდგან ჩვენი ჯარები გამოგვეყვანაო. ფლურანს წინააღმდეგობა გამოუცხადებია და ფერრონს-კი კვლავ უთქვამს რომ ჯერ არავინ არ იცის, რა მოელის ტონკინს და, ჩემის აზრით, ამ ქვეყნიდგან ჩვენის ჯარების გამოყვანას, დღეს იქნება თუ ხვალ, იძულებულნი ვიქნებითო. ამავე გაზეთ «France»-ს სიტყვით, გენერალს ბულანჟეს გამოუცხადებია, რომ ჯერ ახალს თანამდებობას ნურას მომანდობთ რასმე, რადგან ჯერ-ჯერობით პარიჟში მინდა დავრჩეო.

**ინგლისი.** ბერლინელი კორრესპონდენტი ამბობს გაზ. «Kolnische Zeitung»-ისა: ძნელად თუ რუსეთისა და ინგლისის შორის უთანხმოება და უკმაყოფილება ჩამოვარდეს იმის გამო, რომ რუსეთმა საზღვრო კარგი დაიჭირა თავის ჯარებითაო. ინგლისს ამ ბოლოს დროს უკმაყოფილება სულ არ გამოუცხადებია იმის გამო, რომ რუსეთი ამუდარიის აქეთ მხარეს იჭერს თავის ჯარებით, რომ უფრო ადვილად ისარგებლოს ამ მდინარეთიო. ასე რომ კარგის რუსეთის ჯარებით დაჭერის გამო ძნელად თუ რუსეთს აურზაური გაუწიოს ინგლისმაო.

— 11 მაისს გლადსტონს დიდი და მეტად საინტერესო სიტყვა წარმოუთქვამს სვანსში, ვალისის სამთავროში. კრებას გარედ, ქუჩაში, ჰქონიათ და დასწრებია 30,000 კაცი. ლიბერალთა მეთაურს გლადსტონს უთქვამს, რომ ვალისის სამთავროს საქმისა და ირლანდიის საქმის შორის კავშირი სუფევსო. ირლანდიის საქმე აგერ რამდენიმე ასი წელიწადია იარადა აქვს გადაქცეული ინგლისსა და აქამდე ვერ გადაუწყვეტიაო. დროა, ამ საქმეს ბოლო მოვუღოთ როგორმე, მაგრამ მხოლოდ ამ საქმეს იმათი მოეღება ბოლო, თუ ამ კუნძულს თვით-მმართველობას მივანიჭებთო, რომელსაც ასე დაჟინებითა თხოულობენო. მალ-მომრეობითის კანონების მიღების პროექტის შედგენა და დამტკიცება ეხლანდელის სამინისტროს მიერ იმას ამტკიცებს, რომ ჩვენ ირლანდიის საქმეში წინ-კი არა, არამედ ერთი ნაბიჯი უკან გადავდგით. რაც უნდა ეცადნენ და თავები იმტვრიონ, ირლანდიის მალ-მომრეობით მართვას ვერ მოახერხებენ; არამც თუ მარტო ირლანდიისას, არამედ შეერთებულ სახელმწიფოს სხვა ნაწილებისასაც. მე იმ აზრისა ვარ, რომ ირლანდიელებს თვით-მმართველობა უნდა მივანიჭოთ და ყველა ირლანდიის შესახები საქმენი თვით ირლანდიელთ უნდა ჰქონდეთ ნება, გადასწყვიტონ და განასამართლონ ხოლმე. ვალისის სამთავროს საქმეც ისევე უნდა გადასწყდეს, როგორც ირლანდიის საქმე; ამ ქვეყანასაც თვით-მმართველობა უნდა მიენიჭოს. უნდა მხედველობაში მივიღოთ ის გარემოება, რომ ვალისის მკვიდრნი სულ სხვა ტო-

---

— კრეკს გაუმარჯოს.

კრეკმა მოკრძალებით შეხედა ელეონორას და ოდნავ შეახო ხელი იმის თითებს; თვალები ძირს დაუშვა და წაიბუტბუტა:

— გაგიმარჯოს ქალო.

საუზმეზე დავსხედით, კრეკმა არც ჩაი დალია და არც რომი; არც ხორცი უჭამია. ერთი თეფში ფელამუში (თათარა) შეჭამა, ერთი ნაჭერი მარილ-მოყრილი პური; ელეონორამ რომ ათრთოლებულის ხელით წყალი მიაწოდა, დალია. თვითონ ელეონორა არასა სჭამდა, მხოლოდ ჩაის სვამდა ნელ-ნელად. როცა კრეკი მოჰყვებოდა ლაპარაკს, ელეონორას თვალები აენთებოდა ხოლმე და გულზედ რომ ყვავილი ჰქონდა, იმის მსგავსად გაუხდებოდა ლოყები: აუწითლდებოდა ხოლმე.

— ზაუგებისა რა ისმის, ჰკითხა ვილსონმა. მე გავიგე, რომ კიდევ რაღაც შფოთი და უთანხმოება ჩამოვარდნილა თქვენსა და ზაუგების შორის.

— ზაუგები კიდევ დაეხეტებიან ამ არე-მარეში.

— მაშ ცუდი ამბავი მოხდება, სთქვა ვილსონმა.

კრეკს თვალებმა გაუელვა.

— იცი კრეკ, რომ ზაუგები კალიასავით მრავალნი არიან, უთხრა ვილსონმა.

— კრეკი კალიებს შესჭამს, უპასუხა ინდოელმა.

— ოჰ, მართლა, სთქვა ვილსონმა: ახლა მომაგონდა. ერთხელ ზაუგები კრეკებს რომ აწუხებდნენ, ამათ ეს ჩვენი კრეკი მოსალაპარაკებლად გაგზავნეს ზაუგებთან. კრეკს ეკითხნა იმათის წინამძღოლისათვის: „რად აწუხებთ კრეკებსაო?“ წინამძღოლს ეპასუხნა: „ჩვენ ბევრი კარგი მდინარეები გვაქვს, კარგი ტყეები; მინდვრები და ველები-კი არა გვაქვს, სულ კამბეჩები სძოვენ ბალახსა. მოგვეცით თქვენი მინდვრები, თორემ ძალით წაგართმევთ. კამბეჩები გვჭირდება ჩვენა!“ „უშიშარო ირემზედ მონადირევ, უკანვე გამოგირეკავთ ყველა კამბეჩებს თქვენს კარვებთან და თუ ერთი მაინც მოვიდა ისე, რომ გვერდში შუბი არა ჰქონდეს, ყველა თქვენ მიირთვითო“, უპასუხნია კრეკსა.

— ასე არ იყო, ასე არ უპასუხე კრეკ? ჰკითხა ვილსონმა.

— დიაღ, ასე იყო და ერთი კამბეჩიც არა რგებიათ ზაუგებს. ვილსონის მოსამსახურემ ორი შეკაზმული ცხენი მოიყვანა კარებთან, ჩვენც ავდექით; ვილსონის დიდი შავი ძაღლი, ჰექტორი, მივარდა კრეკს, ლაქუცი დაუწყო და ლაქუცის დროს პერანგი დაახია. ელეონორა ნემსითა და ძაფით მივიდა კრეკთან და უთხრა:

— კრეკ, პერანგი დაგახია, ნება მომეცი დაგიკერო.

კრეკმა არაფერი უპასუხა, გაუნძრეველად იდგა ელეონორას წინაშე. ელეონორამ აკანკალებულის ხელით დაუწყო დაკერება; მარცხენა მხარეზე ჰქონდა პერანგი დახეული; ელეონორა ოდნავ სუნთქავდა; კრეკის სახე იქმუხნებოდა; ჩუმად შეაპარებდა ხოლმე თვალს ელეონორას ლამაზს პატარა თითებს და როცა ეს თითები პერანგის დაკერების დროს კრეკის გულს ეხებოდა, მე შევატყე, რომ კრეკმა ტუჩები შეანძრია და სასიამოვნო კრძალვამ შეიპყრო. ისე აუძგერდა გული, რომ მისის გულის ძგერა მე მესმოდა. ერთი გადახედა ელეონორას და რომ ველარ გაუძლო იმის ნარნარის თვალების ცქერას, უცებ თვითონ დახუჭა თვალები.

— ახლავ გავათავებ, წასჩურჩულა ელეონორამ და ათრთოლდა. ქალის თმა კრეკის პირი-სახეს ეხებოდა. კრეკმა თავი ველარ შეიმაგრა და სკამს მიეყუდა. ტუჩები მოკუმა და ელეონორას ოქროს ფერს თმას დაუწყო ყურება. გული აუდ-ჩაუდიოდა, ძნელად ჰქშინავდა, სულს მძიმედ იბრუნებდა.

ელეონორა თვალს ვერ აშორებდა.

— ახლა მზად არის, კრეკ, უთხრა ქალმა და გაშორდა.

— კრეკი დიდი მადლობელია, ძლივსა სთქვა კრეკმა და კარებისაკენ წავიდა.

— ტამაგავკი (ინდოელების საომარი იარაღია) გრჩება კრეკ, უთხრა ელეონორამ.

შუაში მოჰკიდა ხელი ელეონორამ ტამაგავკს და მიაწოდა. კრეკმა ფრთხილად გამოართო ქალს იარაღი და გამორთმევის დროს ბოლოში მოჰკიდა ხელი, თითქო ერიდებოდა, ქალის ხელს არ მოვახვედროო ჩემი ხელიო.

— როდის დაბრუნდები, კრეკ, როდის? ჰკითხავდა ელეონორა ნაზად, ხოლო ამ დროს მისი თვალები უფრო ნაზად გამოიყურებოდა, ვიდრე ხმის კილოს გამოთქმა იყო. კრეკმა ქალს შეჰხედა და რამდენსამე წამს თვალი ვერ მოაშორა იმის თვალებს. ეხლა ყურების დროს წმინდა და ნათელი სიყვარული დაეტყო სახეზედ. კრეკმა მერე თვალები ძირს დაუშვა და მძიმედ ამოიოხრა. რადგან ხმას არ იღებდა, ელეონორამ კიდევა ჰკითხა:

— როდის დაბრუნდები, კრეკ, როდის? მითხარი.

კრეკმა ძალა დაატანა თავის თავს და ძლივს ამოსთქვა:

— კრეკი მალე დაბრუნდება, ქალო, და გავარდა ოთახიდამ. ვინც-კი ამათ შეჰხედავდა, ყველა ნამდვილად მიხვდებოდა, რომ ამ ორ არსებათა შუა დიდი და ძლიერი სიყვარული იფარებოდა:

როცა მე და ვილსონი ჩავედით ეზოში, დავინახეთ, რომ კრეკი მიჰყუდებოდა კედელს და შეშინებულის ბაშვივითა თრთოდა. ვილსონის ხმამ გამოაფხიზლა გაბრუებული და კრეკი ნელის ნაბიჯით გაემართა ტყისაკენ.

მინდორზედ რომ გავედით, უნებურად უკან მოვიხედე და დავინახე, რომ ელეონორა სახლის კარებთან იდგა. დილის ნიავი წყნარად არხევდა ქალის თეთრს ჩითის კაბას.

— როდის მოხვალ, როდის, კრეკ?! მომესმა ელეონორას ხმა. ეს ხმა სიყვარულის ხმა იყო, სიტყვა სიყვარულის ძალ-დატანებით ამოთქმული. თუმცა ჩქარა ითქმის ეს სიტყვა, მაგრამ ყურში დიდხანსა რჩება კაცსა.

— ვილსონ, შეხედე ერთი, ელეონორა გვიყურებს, ვსთქვი მე. ვილსონმა ხელი დაუქნია, ქალი შველივით გამოექანა ჩვენკენ და ყველას ხელი ჩამოგვართვა. მაგრამ ხელი ჩამოართვა კრეკსაც, რომელიც ისე იდგა, თითქო ერთს ადგილზეა დალურსმულიო.

— კრეკ, არ დაგავიწყდეს, მალე მოდი, მალე დაბრუნდი აი! ეხვეწებოდა ელეონორა.

— კრეკს არაფერი არ ავიწყდება, უპასუხა წყნარად და ალერსით კრეკმა და საჩქაროდ დაადგა თავის გზას.

ელენე ლორთქიფანიძისა

(შემდეგი იქნება)

მისანი ხრ:ან ინგლისელებთან და სულ სხვა სარწმუნოებისანიო.

ИТАЛІА. გერმანიასა, ისპანიას და ავსტრიას სურვილი გამოუცხადებიათ, რომ კრებას დავნიშნოთ და მოვარიგოთ როგორმე ერთმანერთში ვატიკანი და კვირინალიო.

## გასართობი

**რამდენიმე ხასიათიანი განცხადება.** ერთი საზღვარ-გარეთის გაზეთი ამბობს, რომ შემდეგი სასაცილო განცხადებაა გამოკრული ერთის სახლის კარებზედ: „იძლევა ქირით ოთახები პირველს სართულში, თითეში თითო ოთახი ჰღირს შვიდი მანათი; ხოლო თუ ძალიან იდანდლებენ და ვაჭრობას დაიწყებენ დამქირავებელნი, ნაკლებ ხუთის მანათისა არ დაეთმობათ“.

მეორე გაზეთი ამბობს, რომ ალჟირის ერთს სასტუმროში შემდეგი განცხადებაა გამოკრულიო: „ყველა ამ სასტუმროში მოსიარულეთა ვსთხოვთ, რომ მოსამსახურეებს არ წაეჩხუბნენ და ცემა არ დაუწყონ“.

მეორე ამისთანავე განცხადება გამოკრულია ამერიკის ერთს სასტუმროში: „ჩვენის სასტუმროს მდგმურთა ვსთხოვთ, რომ საწოლზე წაღებით არ გაწვნენ ხოლმე“.

ინგლისის ერთის სახლის ფანჯარაში კიდევ შემდეგი განცხადებაა გამოკრული: „იძლევა ქირით ერთი სასტუმრო და ერთი საწოლი ოთახი, რომელიც მშვენიერს ბაღს გადაჰყურებს. ამ ბაღში ბევრი ხალხი დაიარება, ყვავილები და ხეხილები ბევრია და აგრეთვე ბევრი ძეგლი, ქანდაკება, ლუსკუმა და ანდამანტი სდგას“. ეს ბაღი სასაფლაო ყოფილა თურმე.

აი კიდევ რამდენიმე განცხადება ლონდონის გაზეთებიდგან: „ვარჩენთ ჭკვადმყოფ ძაღლებს. ჩიტებს და სხვა ფრინველებს ვიყვანთ გამოსაკვებად. კუზს ვუსწორებთ მსურველს. ვაკეთებთ ყალბ ცხვირებს, რომელიც ძალიან მაგარია და ამასთან ისე კარგად არის გაკეთებული, რომ ნამდვილში ვერ გამოარჩევს კაცი. ვუღებავთ შავს თვალებს მსურველს და რა ფერისაც უნდათ, იმისთანა ფერზედ შევგიძლიან შევუღებოთ“.

აი კიდევ ერთი სასაცილო წინადადება, ამოღებული ერთის ირლანდიის გაზეთიდგან. ეს სიტყვები მოყვანილი აქვს ამ ირლანდიის გაზეთის ერთს არა კეთილის-მოსურნე ინგლისის გაზეთს: „იმ დრომდე, ვირრე ირლანდია ხმას არ იღებდა, არა ჩიოდა და ასე იტანდა ყოველსავე უსამართლობას ინგლისისას ირლანდიელთა მიმართ, ინგლისი ყრუ იყო და არ ისმენდა ირლანდიის ხმა-მაღალს დრტვინვასაო“.

## დეპეშა

3 ივნისს

ПЕТЕРБУРГИ. გამოცხადებულია შემდეგი აზრი სახელმწიფო საბჭოსი: კიახტის ჩაიზე, რომელიც ამურის მდინარით იქმნას შემოტანილი ირკუტსკის საბაჟოში, გადაახდევინონ: ა) ბაიხოვის შავსა, ყვავილოვანსა და ყვითელ ჩაიზე 11 მანათი, ბ) ლოროფინის მსგავსად მომზადებულს ჩაიზე—2 მანათი და გ) აგურის-ფერ ჩაიზე, რომლის შესახებაც ელჩების მოწმობა იქნება, რომ რუსულად მომზადებულიაო და მარკებიც ექმნება თითოეულს ლოროფინს—ფუთზე 6 მანათი ოქროს ფულითა.

გამოცხადებულია ის წესები, რა წესითაც უნდა იხმარებოდეს პირველ ხანში წინანდელი უბრალო და სააქტო გერბის ქაღალდი და გერბის მარკები იმ დრომდე, ვიდრე ფას-მომატებული ქაღალდი და მარკები იქნება შემოღებული.

МЕРВИ. უმთავრესმა ინჟინერმა სამარყანდ-ბუხარის რკინის გზისამ მიიღო მოწერილობა, რომ დაუყოვნებლივ შეუდგეს მუშაობას ლიანდაგის მოსამზადებლად.

СОФИА. პორტამ აუწყა რეგენტებს, რომ მე უდროვოდ მიმაჩნია მოწოდება დიდის საერო კრებისაო.

БЕЛГРАДИ. სერბიის ერმა დიდის აღტაცებით მიიღო ის ამბავი, რომ რისტიჩმა შეადგინა ახალი სამინისტრო.

რისტიჩმა მიიღო დეპუტაცია აქაურ მოქალაქეთაგან და უთხრა, რომ ჩემის პოლიტიკის საფუძველია: ფინანსების განკარგება, მშვიდობიანობა დაცვა სერბიის ერის უფლებათაო.

БЕРЛИНИ იმპერატორი უკეთ არის და დღეს შუადღისას აბძანდა ლოგინიდამ.

ЛОНДОНИ. ინდოეთის საქმეთა მინისტრმა, როცა დაეკითხნენ ავღანისტანის საქმეების თაობაზე, სთქვა პასუხად რომ უკანასკნელნი ცნობანი, ამ ქვეყნიდამ მიღებულნი, სრულიადაც არ წარმოგვიდგენენ ემირის ყოფას ისე, რომ საჭირო იყოს ინგლისის გარევა ავღანისტნის საქმეებში იმის ტახტის სიმტკიცისათვისაო.

СИМЛА. რუსეთიდამ ჩიტრალს მისული სამი მოგზაური ფრანგები აღმოჩნდნენ.

НЬЮ-ИОРКИ. ფასი პურისა ძალიან სასწრაფოდ იწევს ძირს: ამის გამო დიდი ამბავია და დიდ-ძალი ჭირნახულიც ისყიდება.

ПЕТЕРБУРГИС БИРЖА, 2-ს ИЮНИСС
ФАСЕБИ:

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გაყიდულნი |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — › | — › | 9 6 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — › | — › | 175¼ |
| მანათიანი ვერცხლის ფული, . . . . . . . | — › | — › | 1 29 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . . | — › | — › | 266½ |
| — მეორისა . . . . . | — › | — › | 244¾ |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა. . . | 97¾ | — › | — › |
| ქუთაისის ბანკისა . . . | 97 | — › | — › |
| ტფილისის ურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . . , . | — › | 84½ | — › |

САКАЛЕНДАРО ЦНОБАНИ

ქრისტეს აქედ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოე=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

ТИБАТВЕ 30 დღით არის

4 დღე ხუთშაბათი. წმ. მიტროფანისა. სომეხ. წმ. იოანე წინამორბედისა და ათანაგინე ეპისკოპ. კათოლიკ. დღესასწაული ხორცისა და სისხლისა იესო ქრისტესი. მუსულ მე-25 რიცხვი რამაზანის თვისა, მე-25 დღე რამაზანის მარხვისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12. ტფილისში მზე ამოდის 4—24, ჩადის 7—37. მთვარე 26 დღისაა.

ГАМОСАДЕГИ ЦНОБАНИ
ნიხრი
1 ივნიისიდამ 1 ივლისამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. 5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა . 3 ›
› 2 › 2½ ›
თონის წითელი პური 1-ის ხარის. 5 ›
› › 2— 3½ ›
› › 3 › 3 ›
ჭვავის მამის პურის ლავაში
1-ლის ხარისხისა . . 5 ›
მე-2 ხარისხისა . . 4 ›
მე-3 — . . . › ›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 7 ›
› 2 › 6 ›
სუკი. . . . 13 ›
ცხვრის ხორცი . . . 8 ›
ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. › ›
› 2 › › ›

МИМОСВЛА ЦЕЦХЛИС ГЕМЕБИСА ШАВС ЗГВАЗЕД.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შევლით.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შევლით).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარგარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭირო ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

МИМОСВЛА РКИНИС ГЗИСА

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ | ი | ლ | ი | თ | | | | |
| | | | | | | დ | ი | ლ | ი თ |
| **ტფილისი** . | — | — | 8 | 49 | **ბათუმი** . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა. . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი . | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა. . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები . . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 10 | 3 | 10 | 05 | სუფსა . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი. . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი . . | 10 | 51 | 10 | 53 |
| **გორი** . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო. . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 8 | 12 | 11 | **სამტრედია** | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი . | 12 | 13 | 12 | 16 |
| **ხაშური** . . | 1 | 2 | 1 | 17 | რიონი . . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი . . . | 2 | — | 2 | 3 | **ყვირილა** . . | 1 | 58 | 2 | 10 |
| **ბეჟათუბანი**. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | **ბეჟათუბანი** | 4 | 18 | 4 | 37 |
| **ყვირილა**. . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | ს ა ლ ა მ ო თ ი | | | |
| | ს ა ლ ა მ ო თ ი | | | | სურამი. . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| **რიონი**. . . | 6 | 29 | 6 | 44 | **ხაშური** . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი . | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| **სამტრედია** . | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 5 | 8 | 7 | **გორი** . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი . . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი . . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი. . . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი . . . | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები . . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა. . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი . | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა. . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| **ბათუმი** . . | 11 | 13 | — | — | **ტფილისი** . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

**რიონიდამ** ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ | ღ | ი | ს ი თ | | ღ | ა | მ | ი თ |
| **ტფილისი** . | — | — | 3 | 21 | სურამი. . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | **ხაშური** . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა. . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი . . . | 5 | 24 | 5 | 29 | **გორი** . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | ს ა ლ ა მ ო თ ი | | | | | დ ი ლ ი თ | | | |
| **გორი** . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| **ხაშური** . . | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | 50 | — | — | **ტფილისი** . | 8 | 24 | — | — |


## კერძო განცხადებანი

**გორის სასულიერო სასწავლებლის სამმართველო სთხოვს**, ვისაც სურს გასყიდოს სახლისა ქ. გორში, შემოიტანოს განცხადება სასწავლებლის სამმართველოში 14 თიბათვემდის; განცხადებაში უნდა იყოს მოხსენებული უკანასკნელი ფასი სახლისა და ამასთანავე წარმოდგენილი გეგმა. (3—1)

ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში ისყიდება შემდეგი წიგნები:

ქილილა და დამანა. ვახტანგ მეე. მ. კ. ქვსისა . . . . . . . . 3 ›
ვისრამიანი, სარგის თმოგველისა. 1 50
სიბრძნე-სიცრუე, საბა-სულხან ორბელიანისა . . . . . › 50
დავითიანი, დავით გურამიშვილისა . . . . . . . . . 1 ›
თამარ ბატონიშვილი, გრიგოლ რჩეულოვისა . . . . . 1 ›
ნაწერები ალექსანდრე ორბელიანისა . . . . . . . . › 50
ნაწერები გრიგოლ ორბელიანისა. › 30
თხზულებანი ნ. ბარათაშვილისა. › 40
მეჯლანუაშვილი, არდაზიანისა . › 30
დედა და შვილი, ილია ჭავჭავაძისა . . . . . . . . › 20
რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ, მისივე. . . › 10
სურამის ციხე, ჭონქაძისა . . › 20
ბატონიშვილის პირველი დრო, ალ. ორბელიანისა. . . . › 30
თხზულებანი, რაფაელ ერისთვისა. 1 ›
ნაწერები, ვახტანგ ორბელიანისა. › 20
ქართული გამოცანები, რაფაელ ერისთვისა. . . . . . . › 5
იგავ-არაკი, რაფაელ ერისთვისა. › 25
განკიცხული, მოხნუზარიძისა . › 50
ციკო, მისივე. . . . . , . › 30
პატარა ბიბლიოთეკა, იაკობ გოგებაშვილისა . . . . . › 10
მიტრიდატ დიდი, დიმიტრი ბაქრაძისა . . . . . . . › 10
ბაგრატ მეოთხე, მისივე. . . › 20
მირიან მეფე და წმიდა ნინო, მისივე . . . . . . . . › 10
ვახტანგ მეექვსე, მისივე. . . › 15
დარიგება მასწავლებელთათვის ი. გოგებაშვილისა. . . . › 5
არითმეტიკა, დიდებულიძისა. . › 50
არითმეტიკული გამოცანები, ივ. როსტომაშვილისა. . . . › 10
წითელი ფარანი, თარგმანი. . › 15
ზაფხული. ჟურნალის რედაქციით. › 25
ხატაური, ანასტასია თუმანიშვილისა . . . . . . . . › 10
ამბები ყრმათათვის, ან. ჟურულისა › 5
არსენას ლექსი . . . . . . › 5
ბანჯგვლიანი ფუტკარი, თარგ. მისი. . . . . . . . . › 15
ქართული ანდაზები. . . . › 10
თვალ-საჩინო სწავლა, მ. ჭიჭინაძისა . . . . . . . . › 40
ირაკლი მეორის გლოვა . . › 5
ალი. ნ. ლომაურისა. . , . › 30
დრო არის საქმეს შეუდგეთ, ქ. მამაცაშვილისა. . . . . › 20
ალმანახი, გ. თუმანიშვილისა. . › 40
სტეფენსონი, ბარბარე თუმანიშვილისა . . . . . . . › 5
მომღეარი, ალ. ყაზბეგისა. . 1 ›
თხულებანი, მისივე ნაწ. I. . › 60
რობინზონ კრუზე, ან. თუმანიშვილისა . . . . , . › 30


Дозв. цен. Тиф. 3 іюня, 1887г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე